ნისტრუსთან - 1:0

ლესელიძეში თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებმა მეორე საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს. მათი მეტოქე იყო კიშინიოვის "ნისტრუ", რომელიც, როგორც ცნობილია, "ა" კლასის პირველ ლიგაში გამოდის. დაძაბულ ბრძოლაში თბილისელებმა იმარჯვეს - 1:0. ერთადერთი ბურთი მე-60 წუთზე გაიტანა ყიფიანმა.

"დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: თბილისი – გოგია (ჩლაიძე), ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გავაშელი, ყიფიანი.

ამავე გუნდების დუბლიორთა შემადგენლობებმა 90-წუთიანი ბრძოლა ფრედ დაამთავრეს - 1:1. პენალტების სერია მოიგეს დინამოელებმა, რომლებმა ხუთივე 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენეს, ხოლო "ნისტრუმ" 4 პენალტი გაიტანა.

თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები დაბრუნდნენ თბილისში, სადაც წინასასეზონო მზადებას განაგრძობენ.

ლელო 6.02.73